



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი

03 ნოემბერი 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 195-21

აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.21 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილი №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით), “აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების” მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის, (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით) “უმალესი განათლების შესახებ” 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბერს №192-21 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებისა (№ 01-21, 2021 წლის 02 ნოემბერი) და შუამდგომლობის (№135, 2021 წლის 03 ნოემბერი) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 22 სექტემბერს №159-21 ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის და 2021 წლის 02 ნოემბერს ჩატარებული (ოქმი №01-21) ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე, დაინიშნონ:

სამართლის ფაკულტეტი

1.1 საჯარო სამართლის მიმართულებით (უპირატესად საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით, მათ შორის ინგლისურ ენაზე), ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

სოფიო დემეტრაშვილი

1.2 კერძო სამართალი მიმართულებით (უპირატესად საავტორო სამართალი, მათ შორის ინგლისურ ენაზე), ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

გიორგი მესხი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1.3 თეოლოგიის მიმართულებით, ეკუმენური მოძრაობა, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

პავლო სმიცნიუკი

- 2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთან შრომითი ხელშეკრულების დადება დადგენილი წესით და ამ ბრძანებით განსაზღვრულ ცვლილებების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ასახვა.
- 3. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
- 4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
- 5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.
- 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების ოფიციალური წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3).

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე